სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #5

ქ. თბილისი **2019 წლის 25 ნოემბერი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

1.აბესაძე ნინო 2. ნაზირა კაკულია 3. ჯაფოშვილი გიორგი 4. არჩვაძე ნათელა 5. თუთბერიძე ბეჟანი 6. მუკბანიანი ომარი 7. ჩხაიძე სიმონი 8. თავხელიძე ილია 9. მუმლაძე ლაშა 10. ონიანი ლუკა 11. ტაბატაძე გიორგი 12. ივანიძე მაია 13. გარიშვილი მარინა 14. ონიანი ირაკლი 15. ჯავახიშვილი არჩილი 16. მარანელი სანდრო 17. მარგველაშვილი ვლადიმერი 18. ქიტუაშვილი თინა 19. გოგსაძე გიორგი 20. ჭალაგანიძე ნინო 21. ბებერაშვილი ელენე 22. გაბაშვილი ალექსანდრე 23. ჩიტაია დაჩი 24. ჩახუნაშვილი ნინო 25. ლორია კახაბერი 26. ბჟალავა ელისაბედი 27. ოთხმეზური გიორგი 28. რუსეიშვილი მანანა 29. ვარდოშვილი ეკა 30. თაბუაშვილი აპალონი 31. კეჟერაშვილი შოთა 32. დვალიშვილი ბექა 33. გაიპარაშვილი ზურაბი 34. ღარიბაშვილი ირაკლი 35. სუმბაძე ციური 36. გვანცელაძე გვანცა 37. ახალბედაშვილი ლალი 38. ხუციშვილი მარინე 39. ნემსაძე ადა 40. რუხაია მიხეილი 41. ჩალაძე თამილა 42. ნიკოლაიშვილი მანანა 43. გურგენიშვილი მარინა 44. ლომიძე ნოდარი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. გიორგი შარვაშიძე 2. ავაზაშვილი ნიკოლოზი 3. ამირანაშვილი ავთანდილი 4. გონაშვილი ვასილი 5. გოცირიძე დავითი 6. ზაუტაშვილი მარინე 7. კვინიკაძე მურმანი 8. ლობჟანიძე გია 9. კერესელიძე დავითი 10. მაისაშვილი ხათუნა 11. მესტვირიშვილი მაია 12. მექვაბიშვილი ელგუჯა 13. ფერაძე გოჩა 14. ფურთუხია ომარი 15. ქიტიაშვილი ანასტასია 16. ქურდაძე ირინე 17. ღვედაშვილი გიორგი 18. 19. ყარალაშვილი თამაზი 20. შავლაყაძე ნუგზარი 21. შენგელია თემური 22. ცინცაძე ნოდარი 23. ხუსკივაძე მამუკა (დანართი 2)

დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა დღის წესრიგი შემდეგი სახით:

1.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის #132/2019 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: გიორგი შარვაშიძე)

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ (მომხსენებელი: გიორგი შარვაშიძე)

3. “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის #134/2019 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: ნოდარ ლომიძე)

4. ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის #135/2019 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: გიორგი ჯაიანი)

5. “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №135/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის #136/2019 დადგენილების დამტკიცება (მომხსენებელი: ნიკოლოზ მელქაძე)

6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება (მომხსენებელი: ზურაბ გაიპარაშვილი)
7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების ცენტრის დებულების დამტკიცება (მომხსენებელი: გიორგი გრიგოლაშვილი)
8. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი: გიორგი გრიგოლაშვილი)

9. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილების დამტკიცება (მომხსენებელი: გიორგი გრიგოლაშვილი)

10. ქ. თბილისში, კოსტავას ქ. #5 -ში მდებარე, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების (ნაწილის) უსასყიდლო სარგებლობის ფორმით გადაცემის შესახებ (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1.მომხსენებელმა, უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი შარვაშიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმღძვანელმა, ნუნუ ოვსიანიკოვამ მიმართა აკადემიურ საბჭოს, 65 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, პირადი განცხადების საფუძველზე მისი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, რაც აისახა აკადემიური საბჭოს წარმოდგენილ დადგენილებაში. ამასთან აღინიშნა, რომ ქალბატონი ნუნუ ოვსიანიკოვას საქმიანობა და ღვაწლი სათანადოდ უნდა იქნას დაფასებული და ამ კუთხით მიღებული იქნება შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, გიორგი გოგსაძემ, ვლადიმერ მარგველაშვილმა და ბეჟან თუთბერიძემ, რომლებმაც სენატის სახელით მადლობა გადაუხადეს კანცლერს გაწეული საქმიანობისათვის და იმედი გამოთქვეს, რომ ქალბატონი ნუნუ საქმიანობას გააგრძელებს საუნივერსიტეტო სივრცეში.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

მომხრე: 44

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის #132/2019 დადგენილება (დანართი 3)

2. უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე. შესაბამისად, აკადემიური საბჭოს მიერ ერთხმად იქნა მხარდაჭერილი ამ პოსტზე კანცლერის მოადგილის ლაშა საღინაძის კანდიდატურა. ამჯერად, საკითხზე უნდა იმსჯელოს წარმომადგენლობითმა საბჭომ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

მომხრე: 44

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს ლაშა საღინაძეს დაეკისროს თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შესრულება, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის კანონით დადგენილი წესით დამტკიცებამდე. (დანართი 4)

3. საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის #134/2019 დადგენილება. მომხსენებლმა, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ნოდარ ლომიძემ აღნიშნა, რომ ცვლილება შევიდა "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ #1 დანართის მე-3 მუხლში, რომელიც შეეხება ინსტიტუტის სტრუქტურას. აღნიშნა, რომ განხორციელდა შესაბამისი ცვლილება და დღეისთვის ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებულია შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები: ექსპერიმენტული ფიზიკის განყოფილება, თეორიული ფიზიკის განყოფილება, ექსპერიმენტული მეთოდების ლაბორატორია. არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულია ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება. ასევე ისაუბრა ინსტიტუტის სტატუსისა და დაფინანსების წყაროების თაობაზე.

აზრი გამოთქვა აკადემიური საბჭოს წევრმა ნოდარ ცინცაძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

მომხრე: 44

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის #134/2019 დადგენილება. (დანართი 5)

4. სენატის წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის #135/2019 დადგენილება. როგორც მომხსენებელმა, ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი ჯაიანმა აღნიშნა, ზემოაღნიშნული დადგენილებით ცვლილებები განხორციელდა ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ #1 დანართში, რომელიც ძირითადად ეხება ინსტიტუტის სტრუქტურასა და უფლებამოსილებების საკითხს. აღინიშნა, რომ ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექტორი და მოადგილე/მოადგილეები სამეცნიერო მუშაობის დარგში, მოადგილე საფინანსო-სამეურნეო დარგში, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შესაბამისი სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისგან.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

მომხრე: 44

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის #135/2019 დადგენილება. (დანართი 6)

5. სენატის წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №135/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის #136/2019 დადგენილება. როგორც მომხსენებელმა ნიკოლოზ მელქაძემ აღნიშნა, ცენტრი შექმნილი იყო გარკვეული ვადით, რომლის მიზანს წარმოადგენდა ქვეყანაში ინოვაციური ბიზნეს იდეებისა და პროექტების განვითარება, თსუ სტუდენტებისა და ფართო მომხმარებლის დაინტერესება ახალი, ინოვაციური ბიზნეს იდეების შექმნისა და რეალიზების მიზნით და ა.შ. იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრის საქმიანობის შესახებ ანგარიში მოწონებული იქნა აკადემიური საბჭოს მიერ და ცენტრი ნაყოფიერად ფუნქციონირებს, გადაწყდა, რომ ცენტრმა განაგრძოს მუშაობა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები

მომხრე: 44

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №135/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის #136/2019 დადგენილება. (დანართი 7)

6. დასამტკიცებად წარმოდგენილი იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში შესატანი ცვლილებები. მომხსენებელმა, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა ისაუბრა დაგეგმილ ცვლილებებზე და ითხოვა წარმომადგენლობითი საბჭოს მხარდაჭერა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები

მომხრე: 44

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში ცვლილებები წარმოდგენილი სახით. (დანართი 8)

6. საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების ცენტრის დებულება. აღინიშნა, რომ სტუდენტური სერვისების განვითარება უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. სტუდენტთა სერვისების ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით იგეგმება შემდეგი სტრუქტურული ცვილებები: სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის ფუქნციები სტუდენტებისათვის დასაქმების შესაძლებლობების განვითარებასთან ერთად ფართოვდება იმ ტიპის საქმიანობებით, რომელიც (კარიერული განვითარება, სისტემატური ტრენინგები, პროფორიენტაცია და ა.შ.) მიმართული იქნება უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის ეფექტური სერვისების შეთავაზებაზე.
აღინიშნა, რომ სტრუქტურულად ცენტრის შემადგენლობაში მატერიალური რესურსების დეპარტამენტიდან გადმოდის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის განყოფილება, რომლის მიზანია სტუდქალაქში მცხოვრები სტუდენტებისათვის ეფექტური სერვისის შეთავაზება და კამპუსის ცხოვრების განვითარება. აღნიშნული სტუქტურული ცვლილებები ხორციელდება არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსებით და არ მოხთოვს დამატებით დანახარჯებს. ცენტრის ახალი მიზნებიდან და ფუქნციებდიან გამომდინარე ცვლილება შედის ცენტრის დასახელებაში და ჩამოყალიბდება სტუდენური სერვისების და კარიერული განვითარების ცენტრი.
აღინიშნა, რომ ცენტრის დებულებაში ცვლილებების მოცულობის გათვალისწინებით მიზანშეწონილად ჩაითვალა ცენტრის დებულების ახალი რედაქციით დამტკიცება.
ასევე დებულების ახალი რედაქციის დამტკიცებასთან ერთად შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტისა და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულებებში.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები

მომხრე: 44

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების ცენტრის დებულება თანდართული სახით. (დანართი 9)

8. საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილება. აღინიშნა, რომ ცვლილება განპირობებულია სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების ცენტრის ახალი დებულების დამტკიცებით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

მომხრე: 44

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილება თანდართული სახით. (დანართი 10)

9. საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილება. აღინიშნა, რომ ცვლილება განპირობებულია სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების ცენტრის ახალი დებულების დამტკიცებით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

მომხრე: 44

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილება თანდართული სახით. (დანართი 11)

10. საბჭოს წინაშე განსახილველად წარმოდგენილი იქნა ქ. თბილისში, კოსტავას ქ. #5 -ში მდებარე, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების (ნაწილის) უსასყიდლო სარგებლობის ფორმით გადაცემის საკითხი. აღინიშნა, რომ თანხმობის მისაღებად წარმოდგენილია ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N5-ში მდებარე შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შენობის ნაწილის ა(ა)იპ ათასწლეულის ფონდისათვის უსასყიდლო სარგებლობის ფორმით, 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გადაცემის საკითხი. აღინიშნა, ისიც, რომ ხსენებული ფართი უნივერსიტეტის მიერ, 2014 წლის 30 ოქტომბრიდან, სარგებლობის უფლებით გადაცემული იყო სსიპ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოსათვის“. აღინიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე არსებობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს და შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მოწერილობები.

საკითთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა არჩილ ჯავახიშვილმა და შოთა კეუერაშვილმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები.

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს გიორგი ოთხმეზურმა და შოთა კეუერაშვილმა.

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა, ქ. თბილისში, კოსტავას ქ. #5 -ში მდებარე, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების (ნაწილის) უსასყიდლო სარგებლობის ფორმით გადაცემაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ.შ წერილში (N 22682/10 20/11/2019) მითითებული პირობების გათვალისწინებით. (დანართი 12)

სხდომის დასასრულს, უნივერსიტეტის რექტორმა სხდომის მონაწილეებს მიმართა ორი საკითხის ირგვლივ. ერთი შეეხებოდა მის სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებულ ბრალდებას პლაგიატთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საკითხს მისი მხრიდან ექნება შესაბამისი რეაგირება. მეორე საკითხით კი შეეხო, წინა სენატის სხდომაზე გაჟღერებულ საკითხს, აკადემიური პერსონალის ხელფასებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წლის ბოლოსთვის სენატის წინაშე გამოტანილი იქნება უნივერიტეტის ბიუჯეტი განსხვავებული სახით, გარკვეული სასიამოვნო სიახლეებით და მოუწოდა საბჭოს წევრებს აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ახალი ბიუჯეტის განხილვისა და დამტკიცების პროცესში.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი	ვლადიმერ მარგველაშვილი
წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი	გიორგი ჩაკვეტაძე

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №5,
დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები 2019 წლის 25 ნოემბერი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

აბესაძე ნინო -

კაკულია ნაზირა -

საბაური ლევანი -

ხოხობაია მერაბი -

სტუდენტები:

სახვაძე საბა -

სიამაშვილი ირაკლი -

ბერაძე თამარი -

შვანგირაძე მათე -

ჯაფოშვილი გიორგი -

ლამხი თამარი -

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

არჩვაძე ნათელა -

თუთბერიძე ბეჟანი -

მაჭავარიანი ლია -

გეგეჭკორი არნოლდი -

მუკბანიანი ომარი -

ჩხაიძე სიმონი -

თავხელიძე ილია -

სტუდენტები

ბილისეიმვილი გიორგი -

მუმლაძე ლამა -

ონიანი ლუკა -

ტაბატაძე გიორგი -

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

თუმანიშვილი გიორგი -

ივანიძე მაია -

გარიშვილი მარინა -

ყალიჩავა კობა -

სტუდენტები:

ონიანი ირაკლი -

თურმანიძე ლუკა -

ჯავახიშვილი არჩილი -

მარანელი სანდრო -

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

მარგველაშვილი ვლადიმერი -

ქიტუაშვილი თინა -

ხოდელი ნოდარი -

ჩხაიძე ზურაბი -

სტუდენტები:

უმფრიანი ლერი -

ჩართოლანი ანა -

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

გოგსაძე გიორგი -

დუნდუა სალომე -

ჭალაგანიძე ნინო -

სტუდენტები:

ბებერაშვილი ელენე -

გაბაშვილი ალექსანდრე -

ჩიტაია დაჩი -

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ჟვანია ირინე -

ჩახუნაშვილი ნინო -

სტუდენტები

ცანავა ქეთევანი -

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ლორია კახაბერი -

ზაქარიაძე ანასტასია -

ბახტაძე მიხეილი -

ბჟალავა ელისაბედი -

ოთხმეზური გიორგი -

რუსეიშვილი მანანა -

ვარდოშვილი ეკა -

თაბუაშვილი აპალონი -

სტუდენტები

თვალაძე მარიამი -

ცოფურიშვილი ნიკოლოზი -

კეჟერაშვილი შოთა -

ხუციშვილი დინა -

დვალიშვილი ბექა -

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

გაიპარაშვილი ზურაბი -

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

ღარიბაშვილი ირაკლი -

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

სუმბაძე ციური -

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცელაძე გვანცა -

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

ცქიტიშვილი თემური -

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

იოსელიანი ხათუნა -

ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტი

ახალბედაშვილი ლალი -

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

კაკულია ეთერი -

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

ხუციშვილი მარინე -

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნემსაძე ადა -

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რუხაია მიხეილი -

ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

ხუციშვილი სოფიო -

თსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული - ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

ჩალაძე თამილა -

მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი;

ნიკოლაიშვილი მანანა -

პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

გურგენიშვილი მარინა -

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;

ლომიძე ნოდარი -

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №5,

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების
სია 2019 წლის 25 ნოემბერი

1. გიორგი მარვაშიძე, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე -
2. ავაზაშვილი ნიკოლოზ -
3. ამირანაშვილი ავთანდილ -
4. ანანიაშვილი ნათელა -
5. გამყრელიძე ერეკლე -
6. გონაშვილი ვასილ -
7. გოცირიძე დავით -
8. ვაშაკიძე თამარი -
9. ზაუტაშვილი მარინე -
10. იმნაძე პაატა -
11. კერესელიძე დავით -
12. კვინიკაძე მურმან -
13. კუხიანიძე ალექსანდრე -
14. ლობჟანიძე გია -
15. ლომიძე გაგა -
16. მაისაშვილი ხათუნა -
17. მესტვირიშვილი მაია -

18. მექვაბიშვილი ელგუჯა -

19. მინდაძე ნინო -

20. სანაძე რუსუდან -

21. სილაგაძე ავთანდილ -

22. ფერაძე გოჩა -

23. ფურთუხია ომარ -

24. ქიტიაშვილი ანასტასია -

25. ქურდაძე ირინე -

26. ქურდაძე რამაზ -

27. ღვედაშვილი გიორგი -

28. ყარალაშვილი თამაზ -

29. ყულიჯანიშვილი აკაკი -

30. შავლაყაძე ნუგზარ -

31. შანიძე რევაზი -

32. შენგელია თემური -

33. ცაგარელი ზურაბ -

34. ცინცაძე ნოდარ -

35. ცისკარიძე ალექსანდრე -

36. წერეთელი მარი -

37. ხარშილაძე ირმა -

38. ხუსკივაძე მამუკა -

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის
ოქმი №5, დანართი 3

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 132/2019 18 ნოემბერი 2019 წ.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო" ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 34-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 15 ნოემბრის №24434/10-02 განცხადებისა და თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის №17 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას განცხადება დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) მიერ დამტკიცების შემთხვევაში და მისი შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

LEPL - IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY
ACADEMIC COUNCIL

N 22512/10
18/11/2019

22512-10-3-201911181746

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის №132/2019 დადგენილებას.

დანართი: 1 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელეფონი +(995 32) 2 22 02 41 Tel.
ფაქსი: +(995 32) 2 22 51 07 Fax.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail

ამონაწერი

აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი №17

18 ნოემბერი 2019, თბილისი

დღის წესრიგი

საკითხი 6: *თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წერილის განხილვა;*

აკადემიური საბჭოს წევრები გაეცნენ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 15 ნოემბრის №24434/10-02 წერილს. რექტორმა აღნიშნა, რომ ქალბატონ ნუნუ ოვსიანიკოვას 65 წლის შესრულებათან დაკავშირებით შემოვიდა თავად ქალბატონი ოვსიანიკოვას წერილი, რომლის განხილვაც უნდა მოხდეს, ქალბატონო ნუნუს თხოვნითვე.
აკადემიურმა საბჭომ, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი განხილვის შედეგად, კენჭი უყარა და ერთხმად მიზანშეწონილად მიიჩნია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წერილსა და უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტში მოცემული გარემოებების საფუძველზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ თანამდებობის დატოვების საკითხის დაკმაყოფილება, რაც დამტკიცდა დადგენილებით.

რექტორმა ისაუბრა ოვსიანიკოვას მიერ საუნივერსიტეტოს ცხოვრებაში გაწეული საქმიანობის შესახებ და შემოვიდა ინიციატივით, რომ ღირსეულად იქნეს დაფასებული მის მიერ გაწეული ღვაწლი და აკადემიური საბჭოს უახლოეს სხდომაზე მიენიჭოს მას თსუ-ს უმაღლესი ჯილდო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი. ასევე აღნიშნა მან, რომ იგი ინიციატივით შევა, რომ ქალბატონ ოვსიანიკოვას მიენიჭოს ღირსების მედალიც.

რექტორმა აღნიშნა, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მისივე მოადგილე და წარუდგინა აკადემიურ საბჭოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე ლაშა საღინაძე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად განსასაზღვრად.
აკადემიურმა საბჭომ განიხილა და კენჭი უყარა თსუ -ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად კონკურსის შედეგად ახალი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევამდე ვადით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის ლაშა საღინაძის კანდიდატურას და ერთხმად მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.
სხომაზე ასევე ხაზი გაესვა, რომ მიღებული გადაწყვეტილებები ექვემდაბრება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებას, რაც არის მათი ძალაში შესვლის წინაპირობა. შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილებები უნდა გადაეგზავოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი — **გიორგი შარვაშიძე**

რექტორის აპარატის და აკადემიური
საბჭოს სამდივნოს უფროსი
სხდომის მდივანი — **მზექალა აჭაიძე**

ამონაწერი სწორია — **მ. აჭაიძე**

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №5,
დანართი 5

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება

№ 134/2019 18 ნოემბერი 2019 წ.

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ[2]" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ[2]" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 2019 წლის 11 ნოემბრის №21915/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის №17 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექტორი და მოადგილე/მოადგილეები, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შემდეგი სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისგან:

ა) სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:
ა.ა) ექსპერიმენტული ფიზიკის განყოფილება;
ა.ბ) თეორიული ფიზიკის განყოფილება;
ა.გ) ექსპერიმენტული მეთოდების ლაბორატორია.
ბ) არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:
ბ.ა) ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება.".

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. წინამდებარე დადგენილება და ამ დადგენილებით გათვალისწინებული ცვლილებები ძალაში შევიდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული საკონკურსო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების მიზნებისათვის და კონკურსის შედეგების ძალაში შესვლისთანავე.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

LEPL - IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY
ACADEMIC COUNCIL

N 22511/10
18/11/2019

22511-10-3-201911181745

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ^2“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის №134/2019 დადგენილებას.

დანართი: 2 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელეფონი +(995 32) 2 22 02 41 Tel.
ფაქსი: +(995 32) 2 22 51 07 Fax.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭოს
სხდომის ოქმი №5, დანართი 6

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 135/2019 18 ნოემბერი 2019 წ.

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ[2]" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ[2]" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 2019 წლის 11 ნოემბრის №21936/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის №17 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში:

ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოების (დირექტორი და მოადგილე/მოადგილეები სამეცნიერო მუშაობის დარგში, მოადგილე საფინანსო-სამეურნეო დარგში, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო) და შემდეგი სამეცნიერო და არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებისაგან:

ა) სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:
ა.ა) დრეკადობის და გარსთა თეორიის განყოფილება;
ა.ბ) გამოთვლითი მათემატიკისა და მოდელირების განყოფილება;
ა.გ) დიფერენციალური განტოლებების და ოპტიმალური მართვის განყოფილება;
ა.დ) კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებების განყოფილება;
ა.ე) ფუნქციონალური ანალიზის და გამოყენებების განყოფილება;
ა.ვ) კომპლექსური ანალიზის და გამოყენებების განყოფილება;
ა.ზ) ალბათობის და მათემატიკური სტატისტიკის განყოფილება;
ა.თ) დისკრეტული მათემატიკის განყოფილება;
ა.ი) პროგრამირების განყოფილება;
ა.კ) საინჟინრო და ფიზიკური ამოცანების განყოფილება;
ა.ლ) უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემების და ანალიზის მონათესავე საკითხების ლაბორატორია;
ა.მ) მათემატიკური მოდელირებისა და გამოთვლითი მათემატიკის ლაბორატორია;
ა.ნ) გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების ლაბორატორია;

ბ) არასამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებია:
ბ.ა) სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის განყოფილება.";

ბ) მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის „ი" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ი) საკუთარი უფლებამოსილების ვადით უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის პერსონალიდან დასანიშნად წარუდგენს:

ი.ა) სამეცნიერო მუშაობის დარგში ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის კანდიდატურას, რომელიც აკმაყოფილებს მთავარი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს;
ი.ბ) საფინანსო-სამეურნეო დარგში ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის კანდიდატურას;
ი.გ) სწავლული მდივნის კანდიდატურას რომელიც აკმაყოფილებს მთავარი, უფროსი ან მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს.".

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. დებულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტში შესატანი ცვლილები ძალაში შევიდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული საკონკურსო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების მიზნებისათვის და კონკურსის შედეგების ძალაში შესვლისთანავე.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

LEPL - IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY
ACADEMIC COUNCIL

N 22516/10
18/11/2019

22516-10-3-201911181753

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ²“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის №135/2019 დადგენილებას.

დანართი: 3 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელეფონი +(995 32) 2 22 02 41 Tel.
ფაქსი: +(995 32) 2 22 51 07 Fax.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭოს
სხდომის ოქმი №5, დანართი 7

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 136/2019 18 ნოემბერი 2019 წ.

"საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №135/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, თსუ-ს ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის 2019 წლის 14 ნოემბრის №22306/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის №17 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №135/2015 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-5 მუხლია „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი დაფინანსება;".

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

LEPL - IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY
ACADEMIC COUNCIL

N 22515/10
18/11/2019

22515-10-3-201911181753

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №135/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2019 წლის 18 ნოემბრის №136/2019 დადგენილებას.

დანართი: 1 გვერდი

გიორგი შარვაშიძე

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელეფონი +(995 32) 2 22 02 41 Tel.
ფაქსი: +(995 32) 2 22 51 07 Fax.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 4 აპრილი სხდომის ოქმით N3 დამტკიცებული) დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში:

ა) დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ)ელექტრონული რესურსების განყოფილება”;

ბ) დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 2. ელექტრონული რესურსების განყოფილების ფუნქციებია:

ა) არსებული ელექტრონული ბაზებისა და ელექტრონული კატალოგების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

ბ) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებული საბიბლიოთეკო დოკუმენტების დიგიტალიზაცია და, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მკითხველთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

გ) ბიბლიოთეკის ვებგვერდის განახლება: შინაარსის მომზადება და ატვირთვა;

დ) ინოვაციური პროგრამული და ტექნიკური საშუალებების მოძიება და დანერგვა;

ე) საბიბლიოთეკო საინფორმაციო ელექტრონული რესურსების ადმინისტრირება;

ვ) ელექტრონული კატალოგის ჩანაწერებში შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტების ჩამატება;

ზ) ციფრული დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული მონაცემების მომზადება და ატვირთვა საიტზე;

თ) საერთაშორისო საინფორმაციო ელექტრონული ბაზების მოძიება, შესწავლა, მათ შესახებ ანოტაციების მომზადება მკითხველთათვის და ბაზების მომწოდებლებთან კავშირის დამყარება;

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 22791/10 22/11/2019

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარეს
პროფესორ მამუკა მარგველაშვილს

ბატონო მამუკა,

გთხოვთ, წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე განიხილოთ საკითხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (თან ერთვის).

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფაქსი: chancellery@tsu.ge; E-mail

პროექტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების ცენტრის

დებულება

მუხლი 1. ცენტრის დებულების მოქმედების სფერო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – ,,უნივერსიტეტი") **სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების ცენტრი** (შემდგომში – ,,ცენტრი") წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.

2. ცენტრი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ დავალებებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ფუნქციები

1. ცენტრის მიზანია სტუდენტების საუნივერსიტეტო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობა, სტუდენტთა პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა, სტუდენტური სერვისების განვითარების ხელშეწყობა და დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში მხარდაჭერა, რაც დაეხმარება ახალგაზრდებს საზოგადოებაში პროფესიული და სოციალური უნარების რეალიზებაში.

2. ცენტრის ფუნქციებია:

ა) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საუნივერსიტეტო სივრცეში სწავლების ყველა საფეხურზე სტუდენტების პიროვნული და კარიერული ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ბ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და ფაკულტეტებთან კოორდინირებული თანამშრომლობით, უცხო ქვეყნის მოქალაქეების, სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტების და სხვ. საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

გ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტის პიროვნული და კარიერული განვითარების ხელშეწყობისათვის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება;

დ) სტუდენტური სერვისების განვითარების მიზნით საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტური იდეების განხორციელებაში მხარდაჭერა;

ე) სტუდენტური სერვისების განვითარების მიზნით უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული თანამშრომლობით ტუტორების საქმიანობის მონიტორინგი;

ვ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სტუდენტური სერვისების განვითარების მიზნით უნივერსიტეტის წარმომადგენლობით, აკადემიურ და ადმინისტრაციულ რგოლებთან კოორდინირებული თანამშრომლობა;

ზ) უნივერსიტეტის სტუდქალაქის საერთო საცხოვრებელში სტუდენტური სერვისების განვითარება;

თ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარებისათვის სტუდენტთა საჭიროებების სისტემატური კვლევა, ანალიზი და პრობლემის მოგვარების მიზნით წინადადებების მომზადება;

ი) სტუდენტების დახმარება პროფესიულ ორიენტაციასა და თვითგამორკვევაში, პრიორიტეტების განსაზღვრაში და საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვაში;

კ) სტუდენტების ხელშეწყობა დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში და რეგულარული ტრენინგების შეთავაზება სტუდენტებისთვის დასაქმებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებისთვის;

ლ) სტუდენტების ინფორმირება შრომის ბაზრის დინამიკასა და პერსპექტივებზე. მათთვის კონსულტაციების გაწევა შრომის ბაზრის მიმდინარე თუ სამომავლო მოთხოვნებთან დაკავშირებით;

მ) სტუდენტების დახმარება დამსაქმებლებთან ურთიერთობაში და ამ მიზნით კონკრეტული თემატური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

ნ) შრომის ბაზრის კვლევების განხორციელება უნივერსიტეტის მასშტაბით: როგორც სტუდენტების, ასევე დამსაქმებლების პერიოდული გამოკითხვა ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდებაზე დაკვირვების მიზნით;

ო) დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. სასწავლო პროცესთან დამსაქმებელთა მეტად დაახლოებისა და, სამომავლოდ, სასწავლო პროგრამებში მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად;

პ) შრომის ბაზრისა და დასაქმების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან, სახელმწიფო, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა, თემატურად რელევანტურ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;

ჟ) თავისი კომპეტენციის ფაგლებში, უნივერსიტეტის რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სტუდენტური

სერვისების განვითარების მიზნით შესაბამისი პროფილის სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა.

3. სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტებისათვის ცენტრი სისტემატურად აწყობს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის შეხვედრებს.

4. სტუდენტთა სერვისებისა და კარიერული განვითარების საჭიროებების კვლევას შესაბამისი პროფილის სტუდენტების ჩართულობით ცენტრი ჩაატარებს სისტემატურად - სემესტრში ერთხელ.

5. ცენტრი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სტუდენტური სერვისების განვითარების წინადადებებს შეიმუშავებს სტუდენტთა ჩართულობით, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, ფაკულტეტის სტუდენტთა მომსახურების ცენტრებთან კოორდინირებით და შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს შემუშავებული წინადადებების განხორციელებას.

6. ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს იმ სტუდენტური პროექტების, სტუდენტების და სტუდენტური ჯგუფების აქტიურ მხარდაჭერას, რომელთა საქმიანობა უნივერსიტეტში სტუდენტური სერვისების და ცხოვრების განვითარებისთვის არის მიმართული.

7. ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული თანამშრომლობით და სტუდენტთა ჩართულობით უზრუნველყოფს უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების შესაძლებლობის შესახებ სტუდენტთა სისტემატურ ინფორმირებას.

8. ცენტრი სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში ჩართული სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს სტაჟირების პროგრამის განხორციელებას.

9. ცენტრი აქტიურად მოიძიებს დაფინანსების წყაროებს სტუდენტური სერვისების, უნივერსიტეტის სტუდქალაქის საერთო საცხოვრებელში საუნივერსიტეტო კამპუსის განვითარების, ახალი იდეებისა და პროექტების განხორციელების მიზნით.

10. ცენტრი რეგულარულად შესთავაზებს სტუდენტებს ტრენინგებს რამდენიმე საკვანძო თემაზე დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი უნარების განვითარების მიზნით. ტრენინგებზე სტუდენტების რეგისტრაციის მექანიზმი შემუშავდება ფაკულტეტების ადმინისტრაციებთან შეთანხმებით. რეგულარული ტრენინგები ჩატარდება ცენტრის შიდა რესურსებით. ცენტრმა შესაძლებელია სპეციფიკური ტრენინგების ჩასატარებლად პერიოდულად მოიწვიოს ექსპერტები სხვადასხვა ორგანიზაციიდან, დაფინანსების შესაძლებლობების მიხედვით.

11. ცენტრი სისტემატურად ჩაატარებს დასაქმების ინტერნეტ საიტებზე არსებული ვაკანსიების რაოდენობრივ და თვისობრივ ანალიზს შრომის ბაზრის დინამიკასა და ტენდენციებზე დაკვირვებისა და აქტიური დამსაქმებლების გამოვლენის მიზნით.

12. ცენტრი სტუდენტთა და დამსაქმებელთა საჭიროებების კვლევიდან გამომდინარე პერიოდულად მოაწყობს შეხვედრებს კონკრეტულ დამსაქმებლებთან. დაგეგმავს სტუდენტთა შეხვედრებს უნივერსიტეტსა და კომპანიებში.

13. ცენტრი დამსაქმებლებთან კოორდინირებული თანამშრომლობით სტუდენტებს შესთავაზებს შესაბამისი პროფესიის განმავითარებელ ტრენინგებს და სტაჟირების პროგრამებს.

14. ცენტრი უზრუნველყოფს დამსაქმებელთა საჭიროების შესაბამისი სტუდენტების ბაზების შექმნას.

15. წელიწადში ორჯერ ცენტრი ჩაატარებს დასაქმების ფორუმს.

16. ცენტრი საგანგებო ყურადღებას დაუთმობს სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების, ასევე ეთნიკური უმცირესობების სხვა მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, დევნილი ოჯახები და სხვ.) სტუდენტური სერვისების განვითარებას და დასაქმების ხელშეწყობას. ცენტრი ცალკე აღრიცხავს ასეთ სტუდენტებს და მათთვის შეიმუშავებს პერსონალიზებულ მიდგომებს დამსაქმებელთან ინდივიდუალური მუშაობის გზით.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრს მართავს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

2. ცენტრის სტრუქტურაში შედის უნივერსიტეტის სტუდქალაქის სტუდენტური სერვისების განყოფილება.

3. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით ცენტრისთვის გათვალისწინებული თანამდებობების დასახელებებია: ცენტრის ხელმძღვანელი, ცენტრის უნივერისტეტის სტუდქალაქის სტუდენტური სერვისების განყოფილების უფროსი (შემდგომში - „განყოფილების უფროსი"), მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი და კორპუსის ადმინისტრატორი.

4. ცენტრის თანამშრომლებს თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით.

5. ცენტრის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება სამუშაოს აღწერილობებითა ან/და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

6. ცენტრის ხელმძღვანელის დროებით არყოფნის (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა, დროებით - 2 დღეზე მეტი ვადით არყოფნა) შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს განყოფილების უფროსი ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე ცენტრის მთავარი სპეციალისტი.

7. ცენტრის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს:

ა) ცენტრის წლიური და სამწლიანი სამუშაო გეგმების, ასევე წლის მანძილზე ჩასატარებელი ღონისძიებების კალენდრის შედგენას და ცენტრის მუშაობის ხელმძღვანელობას;

ბ) ცენტრის მუშაობის პრიორიტეტების დასახვას და მათ განსახორციელებლად კონკრეტული საქმიანობებისა და ღონისძიებების დაგეგმვას და ორგანიზებას;

გ) ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში, სტუდენტური სერვისების განვითარების მიზნით განხორციელებული საქმიანობის კოორდინირებას;

დ) ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში, სტუდენტური სერვისების განვითარების მიზნით უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობას;

ე) ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტში სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებას;

ვ) ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში, სტუდენტური სერვისების და კარიერული განვითარების მიზნით სტუდენტებთან, სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას;

ზ) რეგულარული ტრენინგების მოდულების შედგენას, რომლებიც ცენტრმა წლის მანძილზე უნდა შესთავაზოს სტუდენტებს. საჭიროების მიხედვით მოდულების პერიოდულ განახლებას და ახალი მოდულების შედგენას;

თ) კონსულტაციების გაწევას სტუდენტებისთვის პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების საკითხებზე;

ი) დამსაქმებელთა ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნას, ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და ადამიანური რესურსების მენეჯერების დეტალური საკონტაქტო ინფორმაციით;

კ) დამსაქმებლებთან ურთიერთობის კოორდინირებას. რეგულარული კონტაქტების დამყარებას დამსაქმებლებთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით;

ლ) შესაბამისი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, სტუდენტების მონაცემთა გადაგზავნას კონკრეტულ ვაკანსიებზე, ასევე მათთვის სტაჟირებისა თუ დასაქმების სხვა შესაძლებლობების მოძიებას;

მ) შრომის ბაზრის დინამიკის რეგულარულ ანალიზს, არსებული ვაკანსიების მონიტორინგს;

ნ) დამსაქმებლებთან ურთიერთობაში სტუდენტების დახმარებასა და ხელშეწყობას;

ო) დამსაქმებლებთან მიზნობრივი შეხვედრების მოწყობას. დასაქმების ფორუმების ორგანიზებასა და ამ ღონისძიებასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინირებას, როგორც შინაარსობრივი, ასევე ორგანიზაციული თვალსაზრისით;

პ) ცენტრის მუშაობის პერიოდულ მონიტორინგს და წლიური ანგარიშის შედგენას;

ჟ) ახალი ინიციატივების წამოწევასა და განხორციელებას; პროექტების იდეების შემუშავებას, დონორებისა და პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებას;

რ) ურთიერთობის კოორდინირებას ქართველ და უცხოელ პარტნიორებთან, დონორებთან, ქართულ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ყველა სხვა დაინტერესებულ მხარესთან;

ს) ეფექტური და ოპერატიული კომუნიკაციის უზრუნველყოფას, როგორც უნივერსიტეტის სტრუქტურებთან და სტუდენტებთან, ასევე პარტნიორ ორგანიზაციებთან;

ტ) ფაკულტეტების ხელმძღვანელებისთვის ინფორმაციის გაზიარებას და მათთან თანამშრომლობა მოსაზრებების, რეკომენდაციების გაზიარების, გათვალისწინებისა და, შესაბამისად, ცენტრის უფრო ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით;

უ) ყოველწლიურად ან რექტორის ან/და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოთხოვნის შესაბამისად, ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის წარდგენას.

8. განყოფილების უფროსი:

ა) უნივერსიტეტის სტუდქალაქში სტუდენტური სერვისების უზრუნველყოფის მიზნით ანაწილებს მოვალეობებს თანამშრომლებს შორის, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გასცემს მითითებებსა და დავალებებს;

ბ) ცენტრის ხელმძღვანელს განსახილველად წარუდგენს წინადადებებს განყოფილების (უნივერსიტეტის სტუდქალაქის) სტრუქტურის, საშტატო ერთეულების ცვლილების, პერსონალთან შრომითი ურთიერთობის დამყარებისა და შეწყვეტის, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

გ) პასუხიმგებელია განყოფილების თანამშრომლების მიერ შრომითი დისციპლინის დაცვაზე, ძირითადი ფუნქციების, მოვალეობებისა და ცენტრის ხელმძღვანელის დავალებების შესრულებაზე;

დ) ზედამხედველობას უწევს უნივერსიტეტის სტუდქალაქის საერთო საცხოვრებელში სტუდენტთა გეგმაზომიერ და მიზნობრივ განსახლებას, კანონმდებლობით და უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით;

ე) ზედამხედველობას უწევს უნივერსიტეტის სტუდქლაქის საერთო საცხოვრებელში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, კომუნიკაციების გამართულ ფუნქციონირებას, მობინადრეთა მხრიდან უნივერსიტეტის სტუდქალაქის შინაგანაწესის დაცვას და მობინადრეთა მიერ ბინადრობის საფასურის გადახდის პროცესს;

ვ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით კოორდინიერებას უწევს უნივერსიტეტის სტუდქალაქის საერთო საცხოვრებელში სტუდენტური სერვისების სრულფასოვან განხორციელებას;

ზ) უნივერსიტეტის სტუდქლაქის შინაგანაწესის ან/და მობინადრეთა ხელშეკრულებების დარღვევის შემთხვევაში სტუდქალაქის მობინადრეებთან შესაბამისი ოფიციალური მიმოწერის უზრუნველყოფა;

თ) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის პროცესში მონაწილეობა.

მუხლი 4. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

N 22792/10 22/11/2019

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობით საბჭოს

გთხოვთ, მიმდინარე წლის 25 ნოემბერს დაგეგმილ წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) დღის წესრიგში განიხილოთ სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის დებულებაში შესატანი ცვლილებები.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ სტუდენტური სერვისების განვითარება უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. სტუდენტთა სერვისების ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით იგეგმება შემდეგი სტრუქტურული ცვილებები: სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის ფუქნციები სტუდენტებისათვის დასაქმების შესაძლებლობების განვითარებასთან ერთად ფართოვდება იმ ტიპის საქმიანობებით, რომელიც (კარიერული განვითარება, სისტემატური ტრენინგები, პროფორიენტაცია და ა.შ.) მიმართული იქნება უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის ეფექტური სერვისების შეთავაზებაზე. სტუქტურულად ცენტრის შემადგენლობაში მატერიალური რესურსების დეპარტამენტიდან გადმოდის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის განყოფილება, რომლის მიზანია სტუდქალაქში მცხოვრები სტუდენტებისათვის ეფექტური სერვისის შეთავაზება და კამპუსის ცხოვრების განვითარება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული სტუქტურული ცვლილებები ხორციელდება არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსებით და არ მოხთოვს დამატებით დანახარჯებს.

ცენტრის ახალი მიზნებიდან და ფუქნციებდიან გამომდინარე ცვლილება შედის ცენტრის დასახელებაში და ჩამოყალიბდება სტუდენური სერვისების და კარიერული განვითარების ცენტრი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის დებულებაში ცვლილებების მოცულობის გათვალისწინებით მიზანშეწონილად ჩაითვალა ცენტრის დებულების ახალი რედაქციით დამტკიცება. რაც შეეხება თანმდევ ღონისძიებებს - ცენტრის ფუნქციური დატვირთვის გაფართოება იწვევს სხვა სამართლებრივ აქტებში ცვლილებების აუცილებლობასაც (მაგ.: საშტატო განრიგი, სამუშაოთა აღწერილობები), თუმცა შესაბამისი ცვლილებების შინაარსისა და წარმომადგენლობითი საბჭოს კომპეტენციიდან გამომიდნარე ცენტრის დებულების ახალი რედაქციის დამტკიცებასთან ერთად საბჭოს სხდომაზე მისაღებია მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტისა და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულებების ცვლილებების პროექტები, ხოლო სხვა თანდევი

ღონისძიებები გატარდება უნივერისტეტის მართვის სხვა ორგანოების მიერ, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარდგინებით, წარმომადგენლობით საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

დანართი #1 ცვლილება სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის დებულებაში (გვ. 7)

დანართი #2 ცვლილება სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულებაში (გვ. 1)

დანართი #3 ცვლილება მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულებაში (გვ. 1)

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 09 ოქტომბრის სხდომის ოქმით №6 დამტკიცებული სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულებაში:

ამოღებულ იქნას დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი:

„ვ) ახორციელებს ტუტორების საქმიანობის მონიტორინგს"

ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის სხდომის ოქმით №20 დამტკიცებული მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულებაში:

ამოღებულ იქნას დებულების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 22682/10 20/11/2019

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ განიხილოთ ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N5-ში მდებარე შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შენობის (საკადასტრო კოდი N01.15.03.028.001) ნაწილის (მეოთხე სართული სრულად - ფართი 596,40 m^2 და მესამე სართულის ნაწილს - ფართი 377,40 m^2) ა(ა)იპ ათასწლეულის ფონდისათვის უსასყიდლო სარგებლობის ფორმით, 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გადაცემის საკითხი.

დამატებით გაცნობებთ, რომ ხსენებული ფართი უნივერსიტეტის მიერ, 2014 წლის 30 ოქტომბრიდან, სარგებლობის უფლებით გადაცემული იყო სსიპ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოსათვის“.

დანართი: 5 ელ. ფაილი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფაქსი: chancellery@tsu.ge; E-mail

KA021766836742119

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/65582 11 / ნოემბერი / 2019 წ.

ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდის (ს/ნ 402144167)
(აღმასრულებელი დირექტორი მაგდა მაღრაძე)
მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N5

სსიპ - ივანე ჯავახშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში (შემდეგში - "სააგენტო") შემოსული თქვენი 2019 წლის 16 ოქტომბრის N 2019-10/02, N 2019-10/03 და 23 ოქტომბრის N 2019-10/13 განცხადებების პასუხად, რომლითაც მოთხოვნილია სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA - Georgia) სარგებლობაში არსებული უძრავი (ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N5, IV სართული სრულად და III სართულის ნაწილი, ს/კ N01.15.03.028.001) და მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალება ტოიოტა პრადო, სახელმწიფო ნომრით GZG - 252, საიდენტიფიკაციო ნომერი JTEBU29J305130650) უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემა, გაცნობებთ, რომ სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა (MCA-Georgia) და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შორის 25.10.2019 წელს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადმობარებული იქნა ავტოსატრანსპორტო საშუალება ტოიოტა პრადო, სახელმწიფო ნომრით GZG - 252, საიდენტიფიკაციო ნომერი JTEBU29J305130650.

ამასთან, N01.15.03.028.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან თქვენს დაინტერესებაში არსებული ფართის პირველად მოსარგებლეს, "სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N302 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად წარმოადგენდა სსიპ - ივანე ჯავახშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხის შემდგომი განხილვის მიზნით, განცხადებებზე დამატებით წარმოსადგენია სსიპ - ივანე ჯავახშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანხმობა.

აღნიშნული წერილი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ დაპირებას, შესაბამისად არ წარმოშობს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულებას.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე

ათასწლეულის ფონდი
MILLENNIUM FOUNDATION

#2019-10/01
2019 წლის 16 ოქტომბერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს,
პროფესორ გიორგი შარვაშიძეს

ასლი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტროს

ბატონო გიორგი,

მოგესალმებით და მოგახსენებთ, რომ სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდ - საქართველოს (MCA-Georgia) სარგებლობაში აქვს გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქალაქ თბილისში, კოსტავას ქუჩა N5 (საკადასტრო კოდი 01.15.03.028.001).

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო (MCA-Georgia) შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმებით (მეორე კომპაქტით) გათვალისწინებული პროგრამის განსახორციელებლად. კომპაქტის ვადის ამოწურვის გამო, 2019 წლის 29 ოქტომბერს სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო (MCA-Georgia) წყვეტს ფუნქციონირებას.

დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დაფუძნებულ იქნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ათასწლეულის ფონდი (ს/ნ 402144167), რომლის მიზანს წარმოადგენს უზრუნველყოს მეორე კომპაქტის პროექტების მდგრადობა, მათ შორის, განახორციელოს მეორე კომპაქტის დახურვის შემდგომ დარჩენილი აქტივობები.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მხარეების მიერ დამტკიცებული იქნა ათასწლეულის გამოწვევის

სააიპ ათასწლეულის ფონდი
კოსტავას ქ.5, თბილისი 0108, საქართველო. ტელ.: +995 32 242 85 28
NPLP MILLENNIUM FOUNDATION
5, Kostava street, 0108 Tbilisi, Georgia. Tel.: +995 32 242 85 28
www.millennium.org.ge
info@millennium.org.ge

კორპორაციის მიერ დაფინანსებული კომპაქტით განსაზღვრული პროგრამის დასრულების გეგმა, რაც ითვალისწინებს სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სარგებლობაში არსებული საოფისე ფართის ააიპ ათასწლეულის ფონდისთვის გადაცემას. აღნიშნული პროგრამის დასრულების გეგმა დამტკიცებულ იქნა სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ხოლო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს წარმოადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმისათვის, რათა ა(ა)იპ ათასწლეულის ფონდმა უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის მიერ მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების ეფექტურად შესრულება, გთხოვთ განახორციელოთ შესაბამისი პროცედურები და გასცეთ თანხმობა ქალაქ თბილისში, კოსტავას ქუჩა N5 (საკადასტრო კოდი 01.15.03.028.001) მდებარე უძრავი ქონების IV სართულის სრულად (შენობის ტექნიკური პასპორტის მიხედვით 596.4 კვ.მ) და III სართულის ნაწილის (შენობის ტექნიკური პასპორტის მიხედვით 377.4 კვ.მ) ა(ა)იპ ათასწლეულის ფონდისთვის 2023 წლის ბოლომდე უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

წინამდებარე წერილს დანართის სახით ვურთავთ სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) თანხმობას, მის სარგებლობაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონების ა(ა)იპ ათასწლეულის ფონდისთვის გადაცემის შესახებ.

მადლობას მოგახსენებთ თანამშრომლობისთვის.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

მაგდა მაღრაძე

აღმასრულებელი დირექტორი

ათასწლეულის
გამოწვევის ფონდი
საქართველო

MILLENNIUM
CHALLENGE ACCOUNT
GEORGIA

#2019-10/482
2019 წლის 16 ოქტომბერი

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო (MCA-Georgia) აცხადებს თანხმობას მის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება მდებარე ქალაქ თბილისში, კოსტავას ქუჩა N5 (საკადასტრო კოდი 01.15.03.028.001) გადაეცეს ააიპ ათასწლეულის ფონდს (ს/ნ 402144167).

მაგდა მაღრაძე

აღმასრულებელი დირექტორი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

№118/02-01 03.09.2014

საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოსათვის“ უძრავი ქონების გადაცემის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი - მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილების, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, 57-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 01 ოქტომბრის N302 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის“ მე-4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ნ“, „ო“ და „პ“ ქვეპუნქტების, სსიპ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორის 2014 წლის 24 ივნისის N2014-06/84 მომართვის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 30 ივლისის N4 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014 წლის 18 აგვისტოს NMES 3 14 00586802 და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 20 აგვისტოს N5/31114 კორესპონდენციების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს“ უსასყიდლოდ, 2014 წლიდან 2020 წლამდე (6 წლის ვადით) სარგებლობაში გადაეცეს ქ. თბილისში, კოსტავას ქ. N5-ში მდებარე უნივერსიტეტისათვის სარგებლობაში გადმოცემული შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შენობის (საკადასტრო კოდი N01.15.03.028.001) მეოთხე სართული სრულად (შენობის ტექნიკური პასპორტის მიხედვით ფართი 596,40 მ²) და მესამე სართულის ნაწილი (შენობის ტექნიკური პასპორტის მიხედვით ფართი 377,40 მ²) პირველი სართულიდან მეოთხე სართულის ჩათვლით შენობის კიბის უჯრედის რემონტისა და შესაბამისი განათებით აღჭურვის პირობით.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge

ტელ/ფაქსი +995 32 229 42 88 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge E-mail

2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განახორციელოს ქონების მიმღებმა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 დღის ვადაში.
3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების გადაცემაზე გასაფორმებელ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერა განახორციელოს უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის ექსპერტმა თემურ ხარატიშვილმა.
4. ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გადაცემა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ).
6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით ჩომახიძე

ბრძანებებისთვის
FOR ORDERS

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 3 19 01414383

18/10/2019

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტს

გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში განსახილველად შემოვიდა ა(ა)იპ ათასწლეულის ფონდის 2019 წლის 16 ოქტომბრის N2019-10/01 წერილი (სამინისტროში რეგისტრაციის N1400754 16.10.19.), რომელიც ეხება უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ შენობაში ფართის გამოყოფის საკითხს.

გიგზავნით ზემოაღნიშნულ კორესპონდენციას (იხ. დანართი). გთხოვთ, შეისწავლოთ და მოგვაწოდოთ დეტალური ინფორმაცია/პოზიცია საკითხთან დაკავშირებით.

ადმინისტრაცია
დეპარტამენტის უფროსი
სამსონაძე გრიგოლ

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
SHOTA RUSTAVELI INSTITUTE OF GEORGIAN LITERATURE

N 21417/10
01/11/2019

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს, ბატონ გიორგი შარვაშიძეს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 18 ოქტომბრის MES 3 19 01414383 წერილის პასუხად, რომელშიც საუბარია ა(ა)იპ ათასაწლეულის ფონდის მიერ სამინისტროსთვის 2019 წლის 16 ოქტომბერს გაგზავნილი N2019-10/01 წერილის შესახებ, უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებულ შენობაში ფართის გამოყოფის თაობაზე, გაცნობებთ რომ თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი თანახმაა მერაბ კოსტავას ქ. #5-ში მდებარე ინსტიტუტის შენობის მესამე სართულის ნაწილი და მეოთხე სართული სრულად, უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცეს ა(ა)იპ ათასაწლეულის ფონდს, 2023 წლის ბოლომდე.

ირმა რატიანი

დირექტორი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მ. კოსტავას ქ.5, 0108 თბილისი, საქართველო
5, M. kostava, str. 0108 Tbilisi, Georgia
ტელეფონი: +(995 32) 299 53 00 Tel.
ფაქსი: +(995 32) 299 53 00 Fax.
ელფოსტა: litinstituti@yahoo.com E-mail